

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР  
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 3 (1639)

საბჭოთაო, 5 იანვარი, 1961 წ.

ბათუმის 80-17 წელი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ  
სპორტულ საზოგადო-  
ებათა და ფიზიკური  
სიძვის განვითარების  
პროფკავშირთა საბჭო-  
რთველს რედაქციის  
ქუჩის სახელოსტო

ოთხი წლის ისტორია აქვს საბჭოთა ხელბურთს და უკვე მისი წარმომადგენლები ჩაებნენ მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატში, რომლის ფინალური შეხვედრები გაიმართება 1-12 მარტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამ ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 22 ქვეყანამ, მათ შორის 5 გუნდი პირდაპირად ფინალში დაშვებული, ესენია: შვედეთი, როგორც მსოფლიო ჩემპიონი, გერმანია, როგორც IV ჩემპიონატის ორგანიზატორი და ბრაზილიის, იაპონიისა და ისლანდიის გუნდები, რომლებიც ტერიტორიული სიშორის გამო გათავისუფლებული არიან წინასწარი თამაშებიდან.

ყველა სხვა მონაწილე გუნდიც დაიწყო მომზადება, სადაც 15 იანვარამდე უნდა დათავრდეს შერჩევითი შეხვედრები. საბჭოთა ნაკრები პირველ შერჩევით მატჩს გამართავს დღეს, 5 იანვარს მოსკოვში, ხოლო მეორეს — 15 იანვარს ბუქარესტში — რუმინეთის ნაკრებთან. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩებამდე საბჭოთა ნაკრებმა ორ ამხანაგურ მატჩში დააპარტახ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები (7X7) — 22:16 და 18:16.

ჩვენი გაზეთის გილდოზე ბაკურიანში გამართულ შეჯიბრებაში ე. გავამ („კოლმეურნი“) 5 კმ თხილამურებით რბენაში II ადგილი დაიკავა და პირველად შეასრულა I თანრიგი, ამ გამარჯვებას მას (სურათზე მარცხნივ) ულოცავს თანაგუნდელი მ. ქურდოლიანი.



გასული წლის უკანასკნელ დღეებში დაიწყო „ავსტრო-გერმანიის“ ოთხი ტრამპლინის ტურნე. პირველი ხტომები მოეწყო 31 დეკემბერს ობერსდორფში (გერმანია), სადაც სტარტზე გამოვიდა ევროპის ყველა განთქმული ხტომელი და ორქიდელი. პირველი ეტაპი — შეჯიბრება ობერსდორფის ტრამპლინზე

## ოთხი ტრამპლინის ტურნე

ჩატარდა სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენელთა უპირატესობით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მსოფლიო ჩემპიონი ფინელი ი. კიარკინენი. იგი პირველ ცდაზე 73 მეტრზე გადახტა, მეორე ცდაზე ეს შედეგი 0,5 მეტრით გაუმჯობესა, უმაღლესი შედეგება დაიმსახურა სტილშიც და 226 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე იყო შვედი სიუ-მერგი (69 და 75,5 მ 223 ქ.), მესამეზე გამოვიდა გამარჯვებულს ძმა კ. კიარკინენი (69,5 და 75,5 მ 220 ქ.), როგორც ჩანს, პრიზიორებში ჩვენი სპორტსმენებიდან ვერაინი მოხვდა.

სხვა საბჭოთა სპორტსმენები — ნ. კამენსკი, ი. ზუბარევი და ნ. შამოვი შესაბამისად მეხუთე, მეექვსე და მეცხრე ადგილებზე გამოვიდნენ. ამრიგად, უკან დარჩა ტურნირის ნახევარი. ორი ტრამპლინის შედეგების მიხედვით ლიდერობას ინარჩუნებს ი. კიარკინენი, რომელსაც კვალდაკვალ მიჰყვებიან კ. წაქაძე და პ. რეკნაგელი. ხვალ, 6 იანვარსა და 8 იანვარს ავსტრიის ტრამპლინებზე გაიმართება მორიგი ორი ტური.

## „ლე სპორტის“ ფურცლებზე

„აღღერებო ველოსიპედისტთა რბოლის დაწყების წინ დაბალი ტანის კაცი საქმიანად საუბრობდა მონაწილეებთან. ის ერთი გზუფიდან მეორესთან გადადიოდა, უსვამდა რამდენიმე შეკითხვას და რაღაცას სწრაფად იწერდა უბის წიგნაკში, ნერვიული ხელით ხანდახან იგი ხმარობდა კინოაპარატის კამერასაც, რომელიც ილიაში შქონდა ამოჩრილი.“

## მეტალურგი-ალპინისტი

საამქროს ცივად დაშვების განყოფილებაში გადღინებული მიწების გადატანისას ამწე მქანაში მწყობრიდან გაშვდა, სასწრაფოდ გამოიძახეს მორიგე ზეინკალთა ბრიგადირი და ამწე მქანის მძღველი შეკეთება დააშველეს.

ვისი ხელსაწყოებით მარჯვედ ტრიალებდა. — ძნელი მისადგომი კია, მაგრამ, მე მკონი, ათ წუთში მოვრჩები! — ჩამოსძახა ზემოდან ზეინკალმა და ჩაქურჩის ცემა საამქროს ხმაურს შეუერთდა.

თვითონ მეტალურგიულა ქარხნის საგლინავი საამქროს მშენებლობაზე მუშაობდა. მეგობრები ხშირად დადიოდნენ სტუმრად ერთმანეთთან, ერთ საღამოს გიორგიმ იასონის ფოტოალბომი გადაათვალიერა. მისი უურადღება მიიპყრო სურათებმა, რომლებზეც იასონი ალპინისტებთან ერთად კავკასიონის კალთებზე იყო გადაღებული. შემდეგ გიორგიმ თვითონაც მიიღო მთამსვლელის პირველი ნათლობა — 1952 წელს ჩრდილო კავკასიის ეწვია. აღილუს ხეობის ალპინისტური ბანაკის მთამსვლელებთან ერთად ერთი მწვერვალი და ორი უღელტეხილი დაიპყრო, 1953 წელს კი რუსთაველ მთამსვლელებთან ერთად უაზრების მიდამოებში ჩატარებულ ალპინადში

მოხდა და კოლექტივთან ერთად ღირსეული წვლილი შეიტანა მეტი ქართული მარცხის მიღების გამოშვებისათვის ბრძოლაში. რუსთაველს მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში გამოწერითა და გამოიბრძმედა გიორგი კობიძე. იგი იბრძვის, რომ ქარხანამ მოიპოვოს კომუნისტური შრომის საწარმოს საბატიო სახელი.

აი, როგორია გიორგი ასეთი ჩუმი ადამიანის შესახებ შეიძლება ითქვას კოლექტივს ბევრი რამ მართლაც არ ცოდნოდა. ამიტომ იყო, რომ იმ დღეს მებვიით გავარდა ახალი ამბავი — პამირის ტრავერსის მონაწილეს — გიორგი კობიძეს ოქროს მედალი გადაეცაო. მგლინავებმა გიორგის გულთბილად მიულოცეს ეს დიდი გამარჯვება.

მოთხილამურის ერთ-ერთი წამყვანი ფიზიკური ჩვევა სისწრაფეა: მისი განვითარება დავაგვირებულა ცალკეული ფიზიკური ვარჯიშების მაქსიმალურ ტემპში შესრულებასთან. მოსამზადებელ პერიოდში სისწრაფის გამოსამუშავებლად გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი საშუალებები: მოკლე მანძილებზე მაქსიმალურ ტემპში რბენა, ცალკეული აქტივობა აღმართებისა და დაღმართების გადალახვით, სპორტული თამაშობანი, აგრეთვე ცალკეულ იმპროვიზირებულ მოძრაობათა მაქსიმალური ინტენსივობით შესრულება, მაგალითად, სლალომისტისათვის 35-40 გრადუსის დახრილობის ფერდობზე სლალომის სპეციალური ტრასის გავლა დროში, სათხილამურო ჯოხების გამოყენებით და სხვ.

ძალის განვითარებისათვის გამოიყენება ისეთი ვარჯიშები, რომლებშიც დავაგვირებულნი არიან საკუთარი წონის დაძლევისათვის. ასე შეგავალით: სხეულის მიზიდვა ღერძზე ან ხის ტოტზე, ბუქნი ორივე და ცალ ფეხზე ტვირთით და უტვირთოდ ურთიერთტარება ვაკეზე და თავდაღმართში, ვარჯიშები შტანგით, დატენილი ბურთებით, ქვევით, სიარული და ხტომები ფეხებზე მიბმული 4-5 კგ ტვირთით და სხვ. გამძლეობის განვითარება დავაგვირებულნი წვრთნის პროცესში ცალკეული ფიზიკური ვარჯიშების ხანგრძლივ და ინტენსიურ შესრულებასთან. მოსამზადებელ პერიოდში გამძლეობის განვითარების ძირითადი საშუალებებია სიარული, რბენა, კროსი (ველო და მძლეოსნური), ნიჩბოსნობა, თამაშები და სხვ.

სლალომისტმა უნდა ივარჯიშოს ასფალტირებულ დაღმართზე ცივრებით, ირბინოს და ხტომით გაიაროს დიდი დახრილობის ფერდობი ჩაატაროს ვარჯიშები ბატუტზე და წყლის თხილამურებით. ტრამპლინიდან მოხტუნავემ უნდა ივარჯიშოს კომპლექსური წყალში ხტომაში და ტანვარჯიშულ ტრამპლინზე. მოგვეყავს თანრიგისანი მოთხილამურე სპორტსმენების მოსამზადებელი პერიოდის საშემოდგომო ეტაპის წვრთნის სანიმუშო კვირეული გეგმა. რა თქმა უნდა, მწვრთნელები და ინდივიდუალურად მოვარჯიშე სპორტსმენები მხედველობაში მიიღებენ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებულობას, სქესს, ასაკს და იმას, თუ სათხილამურო სპორტის რომელ



## შევაღვივოთ საფრთხილი გეგმა

სახეობაში ტარდება საწვრთნელი შეცადინეობა. **ორშაბათი.** შეცადინეობების ხანგრძლიობა 2-2,5 საათი, ძირითადი ამოცანები: საერთო ფიზიკური მომზადების შემდგომი სრულყოფა და სისწრაფითი გამძლეობის განვითარება. **საშუალებები.** მოსამზადებელი ნაწილი: 1. რბენა ნელ ტემპში, ცალკეული აქტივობებით — 5 წუთი 2. რბენა ადგილზე თანდათან აქტივობით მაქსიმალურ ტემპამდე — 2 წუთი, 3. ზოგად განმავითარებელი ვარჯიშები — 20 წუთი. ძირითადი ნაწილი. ა) მორბენალი: 1. რბენა მაქსიმალურ ტემპში 5x100 მ. ერთწუთიანი შესვენებებით 3x200 მ. ორ-ორი წუთიანი შესვენებებით ცალკეული 50-60 მ. სიგრძის აღმართების მაქსიმალურ ტემპში გავლა. 2. კალაბურთის თამაში 45 წ. ბ) სლალომისტები და მოხტუნავეები: 1. რბენა მაქსიმალურ ტემპში 3x100 მ, ერთწუთიანი შესვენებებით 50, 100, 150, 200 მ განმეორებით რბენა ერთ-ერთწუთიანი შესვენებებით. 2. 70-80 მეტრი სიგრძის 25-30 გრადუსის დახრილობის ფერდობის სამჯერ გავლა, ორჯერ რბენით. ერთხელ ჩქარი წახტომებით. 3. კალაბურთის თამაში 45 წ. დასვენითი ნაწილი. რბენა, ნელ


ტემპში 6-10 წ. და ვარჯიშები დამშვიდებაზე 5 წ. **ორგანოზაციული-მეთოდური მითითებანი.** ვინაიდან მოთხილამურეის ზამთარში ყოველგვარ ამინდში უხდება წვრთნა და შეჯიბრებებში მონაწილეობა, ამიტომ სასურველია მოსამზადებელი პერიოდის საწვრთნელი შეცადინეობა ტარდებოდეს ღია ცისქვეშ და ყოველგვარ ამინდში. **საშუალებები.** ძირითადი ამოცანები: მოძრაობის კოორდინაციისა და მოქნილობის სრულყოფა. **საშუალებები.** მოსამზადებელი ნაწილი: 1. რბენა ნელ ტემპში 6-7 წუთი, 2. ზოგადგანმავითარებელი

ვარჯიშები 20-25 წ. ძირითადი ნაწილი: 1. ვარჯიშები ტანვარჯიშულ იარაღების ან ხის ტოტების გამოყენებით. 2. მოჭრილ ხეებზე ან რაიმე ვიწრო გასასვლელზე სხვადასხვა ვარჯიშების შესრულება. 3. ხტომა ადგილიდან და გამოზრუნით სიგრძეზე, სიმაღლეზე, სიღრმეში, განზე და სხვ. 4. ფრენბურთის თამაში 20 წ. დასვენითი ნაწილი: რბენა ძლიერ დასერილ ადგილმდებარეობაზე 5 წუთი. ვარჯიშები დამშვიდებაზე 5 წ. **ხუთშაბათი.** ძირითადი ამოცანები: ორგანიზმის საერთო ფიზიკური მომზადების სრულყოფა და ძალის განვითარება. **საშუალებები:** მოსამზადებელი ნაწილი: 1. რბენა საშუალო ტემპში 5-7 წუთი, 2. ზოგად-განმავითარებელი ვარჯიშები 20-25 წუთი. ძირითადი ნაწილი: 1. სხეულის აწევ-დაწევა ტანვარჯიშულ იარაღებზე ან ხის ტოტებზე. 2. ვარჯიშები შტანგით ზედა და ქვედა კიდურებისათვის, აგრეთვე მხრის, სარტყლისა და ზურგის კუნთებისათვის 3. ქეის ან დატენილი ბურთის ტყორცა 4. ურთიერთ ტარება ვაკეზე და თავდაღმართში. დასვენითი ნაწილი: 1. ნელი რბენა 4-5 წუთი, 2. ვარჯიშები მოღუნებაზე. **შაბათი,** ძირითადი ამოცანები: საერთო და სპეციალური გამძლეობის სრულყოფა. **საშუალებები.** მოსამზადებელი ნაწილი: 1. რბენა ნელ და საშუალო ტემპში 12-15 წუთი. 2. ზოგად განმავითარებელი ვარჯიშები 15 წუთი. ძირითადი ნაწილი. ა) მორბენლები: კროსი დასერილ ადგილმდებარეობაზე 20 წუთი, 2. 150-200 მეტრიანი აღმართის გავლა 4-6-ჯერ მაქსიმალურ ტემპში სათხილამურო ჯოხებით. 3. ფეხბურთი ან ხელბურთი 2x20 წუთი. ბ) სლალომისტები და მოხტუნავეები: 1. 800-1000-მეტრიანი 25-30 გრადუსის დახრილობის ფერდობზე ასვლა საშუალო ტემპში და ჩამოსვლა ტყუპ ფეხზე ხტომებით და ცალკეული გარბენებით 2x100 მ. 2. კროსი ძლიერ დასერილ ადგილმდებარეობაზე 10 წუთი, 3. ფეხბურთის თამაში 2x25 წუთი. დასვენითი ნაწილი: 1. რბენა ნელ ტემპში 10 წუთამდე, 2. ვარჯიშები დამშვიდებაზე. **ვ. ნამებინი** ფიზიკულტურის ინსტიტუტის მ. სწავლებელი.

## უნააცვლებითი პედალირება

ზამრთის პერიოდში ველოსიპედისტის წვრთნის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას ველოდაზგა წარმოადგენს, რომელიც სპორტსმენს უნდა იარაღი გამძლეობას, სისწრაფეს, მიზანდასახულობას, სამილივიან ველოდაზგაზე წვრთნა ეკვლავზე ეფექტურად ასახავს რბოლის ბუნებრივ პირობებს და მომეცადინებს უქმის მოძრაობის სრულ აღსრულებას. ველოდაზგაზე წვრთნის დროს მუშაობს ქვედაკიდურების კუნთები, ისევე როგორც ველოსიპედით რბოლის დროს. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გზატკეცილზე ან ტრეკზე ვარჯიში ზამრთის პირობებში, შეიძლება ველოდაზგაზე მუშაობით შევცვალოთ. ცნობილია, რომ ველოდაზგაზე ხანგრძლივი წვრთნა არ გამოირჩევა დიდი ემოციურობით და როგორც ყველა ერთფეროვანი სამუშაო, იწვევს სწრაფ დაღლილობას, ამიტომ ველოდაზგაზე მუშაობის გამრავალფეროვნების მიზნით კარგი იქნება მასში შევხარებოთი ულემენტების შეტანა. მრავალი წლების მანძილზე ესწავ-

ლობით ჩვენ ველოსიპედისტს დადლისა და აღდგენით მოვლენებს. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დაღლის თავიდან ასაცილებლად და შრომისუნარიანობის მაღალ დონეზე შენარჩუნების მიზნით, ეფექტურია შენაცვლებითი პედალირება, რაც შემდეგში მდგომარეობს: წვრთნის პროცესში ველოსიპედისტი რამდენიმეჯერ ცვლის პედალირების ჩვეულებრივ მიმართულებას, აქვთ მიმართულებაზე. **შენაცვლებითი პედალირება** ეფექტიანობის გამოსარკვევად ჩვენ დაკვირვებას ვაწარმოებდით ველოსიპედისტთა ორ ჯგუფზე. ლაბორატორიულმა ანალიზებმა გვიჩვენეს, რომ შენაცვლებითი პედალირების გამოყენება წვრთნის დროს დიდი მოცულობის საშუაოს შესრულების საშუალებას გვაძლევს საჭირო ინტენსივობის შენარჩუნებით, იგი ამავე დროს უფრო ეფექტურია, ვიდრე ჩვეულებრივი პედალირება და ხელს უწყობს ველოსიპედისტს სპეციალური გამძლეობის გამოუმუშავებაში. ველოდაზგაზე შენაცვლებითი პედალირების ორგანიზაციისა-




თვის შეიძლება ჩვეულებრივი სპორტული-საგზატკეცილო ველოსიპედის გამოყენება, რომელსაც შევადგებთ სპეციალური მოწყობა. ამ დამატებით ხელსაწყოს კონსტრუქცია არის მეტად მარტივი და იგი შეიძლება გაკეთდეს სარემონტო სახელსწიფოში, ავტომობილურებში და ა. შ. ქვედა სურათზე ნაჩვენებია ვ. ი. იპოლიტოვის კონსტრუქციის მანქანა შენაცვლებითი პედალირებისათვის, ერთლივნიანი ველოდაზგა შედგება უძრავი დაზვისაგან (1), დამბიების ლივისაგან (2), კრონ-შტეინებისაგან, რომლებზედაც დამაგრებულია ლივი (3), ორი დამბიანი ხრახნიანაგან (4), უკანა ფეხის ღერძი მაგრდება დაზვის ხერხელებში (5).

დამბიების ლივის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნას საგზაო ველოსიპედის უკანა მილის ან სხვა რომელიმე მილის 6-8 სანტიმეტრიანი დამბით, იმავეთვის, რომ ველოდაზგა მუშაობის დროს იყოს მყარი, დაზვის საფუძვლის სიგრძე 40 სანტიმეტრს უნდა უდრიდეს, ხოლო სიგანე 20 სანტიმეტრს. მართალია, ჩვეულებრივ ველოსიპედზე პედალირებისაგან განსხვავებით, შენაცვლებითი პედალირებისათვის სპორტსმენს ზედმეტ ენერჯის დახარჯვა მოუწევს, მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაითვაოს უარყოფით მომენტად. ერთლივიანი ველოდაზგაზე ვარჯიშის დროს შესაძლებელია ნაკლები ვარჯიშების ჩატარება. შენაცვლებითი პედალირების გამოყენება დიდ საშახურს გაუწევს სპორტსმენს, სასწავლო-საწვრთნელ დაზვის დამზადება საკმაოდ იოლია. დაზვის დამზადება შეიძლება ხისაგან ან ამ მიზნით გამოიყენება აგრეთვე მოტოციკლის სატვირთი.



## უეჯობისლება მუშაობა

თანდათან უმჯობესდება სპორტული მუშაობა ლენინის სახელობის თბილისის ელმავალმუშენებელ ქარხანაში. აქ ჩატარდა ტრადიციული და საქართველოში საპირველი ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სპარტაკიადები. პირველში უძლიერესი აღმოჩნდა ინსტრუქტორული საამქროს გუნდი. საიუბილეო სპარტაკიადში გაიმარჯვეს: ფრენბურთისა და მაგიდის ჩოგბურთში სამმართველოს, ხოლო ჰადრაკში — ელემენტარულ-ტექნიკური საამქროს გუნდებმა. ქარხნის ფრენბურთელები და მაგიდის ჩოგბურთელები გახდნენ რაიონის ჩემპიონები.

„განთიადის“ საქალაქო საიუბილეო სპარტაკიადებზე, სადაც პირველი იყვნენ ჰადრაკსა და ქართულ კილაობაში.



ერთი წელია, რაც ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ჩამოყალიბდა ფარეკაობის სექცია, რომელსაც ბ. ნანიკაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ხნის განმავლობაში აქ უკვე მომზადდა 8 პირველი, 5 მეორე, 10 მესამე და 8 მოზარდთა თანრიგის სპორტსმენი. ამას წინათ აქაურმა მოფარიკავეებმა პირველი ადგილი მოიპოვეს საქალაქო სპარტაკიადზე. **სურბთში:** საავტომობილო ქარხნის მოფარიკავეთა გუნდი. ფოტო ვ. ლოლომანისა.



### გურჯაანი

გურჯაანის „კოლმეურნის“ გარდაამავალ თასზე ფრენბურთში ერთმანეთს ეცილებოდა ძირითადი ფიზკულტურული კოლექტივის გუნდი. თასი მოიპოვა მაჩხაანის ზოთვეტტეჩიკუშის ფრენბურთელთა გუნდმა. II ადგილი წილად

ხვდა წნორის სახელმწიფო ხეხილ-სანერგის გუნდს, ხოლო III — წნორის მექანიკური ქარხნის ფრენბურთელებს.

მ. მღებრივა

### მახარაძე

აქ თითქმის 15 დღე მიმდინარეობდა ხარაიონო სპარტაკიადა ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში და სხვ.


საერთო პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა შემოქმედის საკოლმეურნეო ფიზკულტურულმა კოლექტივმა, მე-2 ადგილზეა ლითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი.

ო. კივიცანი

### თელავი

დამთავრდა თელავის რაიონის სპორტსმენთა საიუბილეო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ „განთიადის“, „კოლმეურნის“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკისა“ და განთიადის განყოფილების სპორტსმენები.

ფრენბურთში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის პირველი ადგილები მოიპოვეს „ბურევესტნიკის“ გუნდებმა. კალათბურთელთა ას-



პარტობაში ქალთა შორის გაიმარჯვა „განთიადმა“, ვაჟთა შორის — განთიადის განყოფილების გუნდმა, ქართულ კილობასა და სიმძიმეების აწევაში კონკურენტის გარეშე აღმარდნენ კოლმეურნის „პორტსმენები“.

მძლეოსნობაში ქალთა შორის გაიმარჯვა განთიადის განყოფილების გუნდმა, ხოლო ვაჟთა შორის — „ბურევესტნიკმა“.

სპარტაკიადის საერთო შედეგების მიხედვით თასი და პირველი ადგილი მოიპოვეს „განთიადის“ სპორტსმენებმა. მეორე ადგილზეა „კოლმეურნის“ გუნდი.

მ. კოლალიშვილი

### წულუკიძე



ამ დღეებში წულუკიძეში, ქალაქის სტადიონზე გაიმართა სპორტის პირად-გუნდური პირველი მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის. შედეგად სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა პატარა ჯიხაძის მძლეოსანთა სასკოლო კოლექტივმა. საშუალო სკოლების გუნდებს შორის გაიმარჯვა წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლის სპორტსმენთა კოლექტივმა.

ბ. შუფარაძე

ბათუმში წარმატებით დამთავრდა მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრებები სპორტის რამდენიმე სახეობაში. გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი სპორტსმენი.

სურბთუბაში: ზევით — ნიჩხოსნები, თარგმარბენელი გოგონები შეჯიბრებისას. ქვევით — მე-10 სკოლის მოსწავლე ვ. მაკაროვი, რომელმაც გაიმარჯვა ველორობლაში.

ფოტო პ. კეხეზიანისა.



### სამხარკაო კონკურსი

### შედეგები

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა თბილისის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მთავარი სამმართველოს ახალგაზრდობის გადაცემითა რედაქციამ (მთავარი რედაქტორი სპორტის ოსტატი თ. ზომერტიქი) საახალწლო საქარაკო კონკურსების გამართვა.

ტელევიზიის საშუალებით საჯარო კონკურსის მოყვარულთათვის გადაცემულ იქნა „ჩვენი საახალწლო საქარაკო კონკურსის“ ამოცანები, ეტაპები და შეკითხვები ქართული უაღრესი ისტორიიდან. კონკურსმა ფართო გამოხმობა მოიპოვა. ყოველი წერილები მიიღო შორეული რაიონებიდანაც, სადაც მართალია ჯერ არ არის სატელევიზიო გადაცემები, მაგრამ გავით „ლაპარაკობს თბილისის“ მეოხებით გაეცნენ საკონკურსო მასალებს.

კონკურსის შეჯამებისას გაირკვნენ გამარჯვებულნი. ესენი არიან: პირველთა რიგისაში მოჭადრაკეები რკინიგზის ტექნიკუმის სტუდენტი კ. ინჭიკიძე, მოსწავლე რ. ჯინჯიხაშვილი, მეორეთა რიგისაში მოსწავლენი ა. ლაბარტელიანი, ვ. ივთოვი და მესამეთა რიგისაში გ. ალხაზაშვილი. თვითელმა გამარჯვებულმა მოაგროვა 28 ქულა. 2 იანვარს ტელემაყურებლების წინაშე გამარჯვებულებს გადაეცათ სამხარკო სიგელები და საქარაკო ლიტერატურა.

### პირველობის ფინიში

ახლა ლიდერი მიქაელაია, გვიტხრა თბილისის 1961 წლის საქარაკო პირველობის მთავარმა მსჯედა, როცა ვინახულეთ იგი XIII ტურის შემდეგ. — შეიძლება კიდევ დარჩეს იგი ბოლომდე, თუმცა...

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა და სპორტის მოყვარულებმა მიიღეს შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი — „1961 წლის სპორტული კალენდარი“. ეს რიგით მეორე სპორტული კალენდარია. პირველი იგი გასულ წელს გამოვიდა და როგორც სპორტსმენთა, ასევე სპორტით დაინტერესებულ მკითხველთა დიდი ინტერესი დაიმსახურა.

კალენდარის პირველ გვერდებზე ღირსშესანიშნავ თარიღებთან და გამოჩენილ პოლიტიკურ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად მოცემულია მთელი რიგი ცნობები სპორტის სხვადასხვა სახეობიდან, ხოლო მეორე გვერდები დათმობილი აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებებს ფიზიკურ აღზრდაზე, აქვეა მოთავსებული აგრეთვე მოგონებები, ხუმრობები, ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, რასაკვირველია, სპორტულ თეზებზე, ასევე გამოჩენილ სპორტსმენთა და ექიმის რჩევა-დარიგებები ახალბედა სპორტსმენებისადმი. ამის გარდა კალენდარში ლაპარაკია მიღწეულ წარმატებებზე, შეიღწეულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სპორტსმენთა წარმატებებზე და სხვ.

კალენდარში ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს რუბრიკს „XVII ოლიმპიურ თამაშებზე“. ეს ბუნებრივია, რადგან გასული წლის სპორტული მიღწევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება რომის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ჩვე-

### სპორტული კალენდარი

ნი ქვეყნის წარგზავნილებმა შეუპოვარ ბრძოლაში საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს. სპეციალური გვერდები ეთმობა ოლიმპიადის გმირებს. კერძოდ, 25 თებერვლის ფურცელი ეძღვნება ჩვენს თანამემამულეს, ოლიმპიურ ჩემპიონს სიმონლესე ტომიში რობერტ შავლაყაძეს.



კალენდარში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ სპორტულ კოლექტივებსა და სპორტსმენებს. მათ შორის, რასაკვირველია, საუბარია საქართ-

ველოს სპორტულ კოლექტივებსა და სპორტსმენებზეც. ასე, მაგალითად, კალენდარის 6 მარტის ფურცელზე ვეცნობით წერილს ვეროვის თასის გათამაშების შესახებ კალათბურთში. ამ საპატიო თასის მებრძოლთა რიგებში დასახელებულია თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი, რომელმაც ფინალში წააგო ღირსეულ მეტოქესთან — რიგის ოფიცერთა სახლის გუნდთან — 1960 წლის თასის მფლობელთან.

5 ივლისის ფურცელზე მოთავსებულია წერილი „საუკეთესო ბობაზარდები“. სტატიის ავტორი ჩამოთვლის ჩვენი ქვეყნის ყველაზე საუკეთესო და შედეგიან თავდასხმელებს ფეხბურთში 1949 წლიდან დღემდე. დასახელებულია შორის არიან და სწაიპერის სპარტაკიადის ატარებდნენ საბჭოთა ფეხბურთის გეტერანი ავთანდილ ლოლბერიძე (1951 და 1953 წლები) და თბილისის „დინამოს“ ცენტრალური თავდასხმელი ზაურ კალოვე (1959 და 1960 წლები).

28 დეკემბრის ფურცლის მეორე გვერდზე მეტად საინტერესო ფაქტია მოყვანილი: საქართველოს მევიდობა, გორის რაიონის მცხოვრებმა თებზე აზზიევამ სიცოცხლის თავისებური რეკორდი დაამყარა — მან 180 წელი იცოცხლა!

დაბოლოს, მისასალმებელი და სასახარულო იქნებოდა, რომ ქართულ გამოცემლობებს მაგალითი გადმოეღოთ მოსკოვის გამოცემლობებიდან და ქართულ ენაზე გამოეცათ მსგავსი კალენდარი.

ბ. ღარსაძე

### საერთაშორისო კონკურსი

რუმინულმა საქარაკო ურნალმა გამართა საერთაშორისო კონკურსი ეტაპების შედეგად. კონკურსის მრავალრიცხოვან მონაწილეთა შორის იყვნენ საქარაკო კომპოზიტორები საქართველოდანაც. მ. კასპარიანი და გ. ნაღარკიშვილი. პირველის ეტაპში პირველი ადგილი დაიმსახურა, ხოლო მეორისამ — სპეციალური ჯილდო.

საქები ჯილდო მიენიჭა ჩვენი რესპუბლიკის მესამე კომპოზიტორს ვ. ნეიძეს.



ქალაქ გორის ფრენბურთელთა გუნდი, რომელმაც საქართველოს 1960 წლის პირველობის ვათამაშებაში (მე-2 ჯგუფი) დაიკავა პირველი ადგილი.



**ბულაბუღი.** დამთავრდა უნგრეთის შერჩევითი ტურნირი კრივიში. შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს „ჰონდელის“ სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე არიან „ჩეპელის“ და მტკას გუნდები.

**ვარშავა.** პოლონეთის ველოსიპედისტთა ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ევროპის მრავალდღიან ველორბოლაში. ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მოხვდნენ: კრულაკი, კოვალსკი, ვილჩეკი, გლოვატი და პიეხაჩეკი.

**ლიონი.** საფრანგეთის ზამთრის საკურორტო ქალაქ ვალ დიზერში გაიმართა მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება. წარმატებას მიაღწიეს ავსტრიელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც პროგრამის ყველა სახეობაში პირველი ადგილები დაიკავეს.

**ოსლო.** აქ გაიმართა მოციგურეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც წარმატებას მიაღწია კ. იუჰანსენმა. მან 3000 მეტრზე რუნაში აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 5.03,3.

**კატოვიცე.** გაიმართა ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და პოლონეთის მოკიდავეთა საერთაშორისო შეჯიბრება 5 წონით კატეგორიაში. პირველ ადგილებზე გა-



მოვიდნენ: ადამშევი (პოლონეთი), მალიკი (პოლონეთი), მალინოვსკი (პოლონეთი), ციგანი (ჩეხოსლოვაკია), ბაკში (იუგოსლავია).

**ბელგრადი.** დამთავრდა იუგოსლავიის პირველობა კლასიკურ ტილობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ჯუკიჩი, ყვანიჩი, რუდაკოვიჩი, მარტონოვიჩი, ხორვატი, ტერკოლია, სუსიჩი, ბაკში.

**სტამბოლი.** თურქეთისა და ლიუბლიანას (პოლონეთი) მოკრივეთა ნაკრები გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 11:5.

**ბერლინი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თასი ტანვარჯიშში მოიგო ლიბიციუს „ლოკომოტივი“.

**ამსტერდამი.** პოლანდიის ტანვარჯიშთა ნაკრებმა დააპარტახა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდი.

**დრეზდენი.** გაიმართა საერთაშო-

რისო შეხვედრა შაბიან პოკეიში ბერლინის „აინჰაიტი“ და ბულაბუღის „მოტრას“ შორის. გამარჯვებულნი იყვნენ სპორტსმენებმა — 11:0.

**ბულაბუღი.** უნგრული კლასიკური ველორბოლაში იანოს ვრეშინკერმა განახლდა რამდენიმე თვის განმავლობაში.

**ბალრამის აშხაზი**

△ ინგლისი. იტრში (ჩრდილოეთი ინგლისი) შევიცარული სისტემით გამართულ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა ბულგარელმა გროსმაისტერმა იაკლიმ (10 ქულა). პოლანდიელმა გროსმაისტერმა დონერმა მეორე-მესამე ადგილები გაიყო ესპანელ ოსტატ პერესთან — 9,5 ქულა თვითმულს.

△ ინგლისის ჩემპიონი ქალთა შორის გახდა ბრიუსი, ხოლო გონონებს შორის — პორსნელი. ქაბუკებს შორის ჩემპიონობა დაიკავებდა ტომსონმა.

△ ბულგარეთი. ქაბუკების ჩემპიონატში, რომელშიც 20 მოქალაქე მონაწილეობდა, ისე როგორც გასულ წელს, გამარჯვა სპასოვმა.

△ ბრაზილია. ქვეყნის ჩემპიონატში 15 მოქალაქე მონაწილეობდა. ჩემპიონი გახდა კამარა, რომელმაც 11 ქულა მოაგროვა.

△ პოლანდია. პოლანდიისა და ინგლისის მოქალაქეთა ტრადიციულ მატჩში, რომელიც ამ დღეზე ორ წრედ გაიმართა, გამარჯვებულნი იყვნენ პოლანდელი მატჩის მტკიცე უპირატესობით (5,5:4,5) მოიგო რეშეკსკომ.

△ შევიცარია. „შევიცარიის თასის“ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თასის ხუთგზის მფლობელი იონერი და ახალგაზრდა კლასის ინგარიშით 1,5:0,5 წიგით კლასმა.

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ახალგაზრდობის ინიციატივით და კომკავშირის კომიტეტისა და საქარხნო კომიტეტის აქტიური დახმარებით ქარხნის ფიზკულტურის საბჭომ მოაწყო ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა, რომელიც მიემდგვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავს.

ტურისტულ ლაშქრობას ხელმძღვანელობდა ტურბაზის მთავარი ინსტრუქტორი შ. აღამაძე.

**სურათზე:** ლაშქრობის მონაწილენი.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.



**სურათზე:** „დინამოს“ სათბილაშრო ბაზის პროექტი.

**ესპანეთის გუნდს ახალი მწვრთნელი**

**ყ ა ვ ს**

როგორც ცნობილია, ესპანელ ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა ბოლო ხანებში რამდენიმე სერიოზული მარცხი განიცადა საერთაშორისო შეხვედრებში, ამიტომ ამ ქვეყნის საფეხბურთო ფედერაცია საგანგებო ზომებს მიმართავს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კარგა ხანს სწარმოებდა კანდიდატთა შერჩევა ნაკრების მწვრთნელად განდევნილი ე. ერერას ნაცვლად. ერთ-ერთი ამ კანდიდატთა შორის იყო წარსულში ცნობილი მეკარე რ. ზამორა, მაგრამ როგორც უტსუეთის გახეთქვა იუწყებოდა, ესპანეთის ნაკრებზე მწვრთნელად დანიშნულ იქნა პედრო ესკარტინა, რომელიც ამ პოსტზე იმყოფებოდა ჯერ კიდევ 1953 წელს.

ესპანელებს შესარჩევი მატჩები მსოფლიო პირველობაზე უნდა ჩაეტარებინათ უელსის გუნდთან 1961 წლის 19 აპრილსა და 18 მაისს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მათი თხოვნით ეს მატჩები გადაიდოს.


მადრიდში ამას წინათ შედგა „რეალ ვალდრიდის“ შეხვედრა ერთ-ერთ სავარაუდო ნაკრებთან.

**გულშემატკივარი კარგავს ხმას**

გამორჩენილი იტალიელი მომღერალი ფ. ტალიავინი არა მგავს თავის თანამემამულეებს, რომლებიც დროის მეტწილს ამერიკისა თუ ევროპის სხვადასხვა თეატრებში ატარებენ და სამშობლოს ხანდახან თუ ეწვევიან ხოლმე. ამის მიზეზია ფეხბურთისადმი ფანატიკური სიყვარული. ფ. ტალიავინი არასოდეს არ აცდენს „იუვენტუსის“ მატჩებს. თუ რომელიმე მარჯვე იმპრესარიოს სურს სახელოვანი მომღერლის გასტროლების მოწყობა (ფ. ტალიავინი დიდი იტალიელი ტენორის ბენეამინო ჩილის მემკვიდრედ ითვლება), იგი ჯერ ეცნობა „იუვენტუსის“ თამაშების კალენდარს და მის მწვრთნელებს უთანხმდება.

ორშაბათობით ტურინის საოპერო თეატრის დირექტორი შეფოთებით ადევნებს თვალყურს ტალიავინის, რომელიც ჯერ კიდევ ფეხბურთის

ყოველივე ამის გამო ტალიავინის სპექტაკლების ცხრილს ოპერის დირექტორი სტადიონზე ადევნს და „იუვენტუსის“ დამარცხების შემთხვევაში სახელოვან მომღერალს სათადარიგო ტენორით ცვლის. ეს იმის გამოც ხდება, რომ სტადიონზე ყვირილის შემდეგ ტალიავინი დროებით კარგავს ხმას.



**ინგლისის ჩემპიონატი**

ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“. საგრძობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა პოპულარულმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რომელსაც ერთ დროს მკორე ლიგაში გადასვლაც კი ემუქრებოდა. დღეს გუნდი მოსცილდა სახიფათო ზონას.

აი გუნდების მდგომარეობა: ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ აქვს 42 ქულა, ინგლისის თასის მფლობელს „ველვერპემბტონ უონდერერს“ — 32 ქულა. „ვეერტონსა“ და „შეფილდ უენსდისი“ — 30, ხოლო ინგლისის ჩემპიონს „ბერნლისი“ — 29 ქულა.

შოტლანდიის ჩემპიონატში კვლავინდებურად ლადერობს ცნობილი კლუბი „გლაზგო რინჯერსი“, რომელიც 2 ქულით უსწრებს „კილმარნოკს“.

ბრიტანეთის ქვეყნების ტრადიციულ ტურნირში დარჩა სულ ორი მატჩი: ინგლისი-შოტლანდია და ჩრდილო ირლანდია-შუელი.

ტურნირის 4 ქულათ ლიდერობენ ინგლისელები, რომლებმაც უკანასკნელი მატჩი ფრედ უნდა დაამთავრონ, რომ უზრუნველყონ პირველი ადგილი.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მასშტაბით თბილისი, ელბაქიდის დაღმართი № 12, დეპუტატთა ოფისის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-59 62, პასუხისმგებელი მღვანისა და განყოფილებების — 8-90-84, გამომცემის — 8-01-06.